საჯარო მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო

მიმართულება - პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია



პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მიმართულება საჯარო მმართველობის ფუნდამენტია, რომლის სრულყოფილი იმპლემენტაცია არსებითად განაპირობებს მთლიანი რეფორმის წარმატებას.

კვლევა არსებითად დაეყრდნო ევროკომისიის მიერ ჩატარებულ ანალიზს, რომელმაც ევროპის მასშტაბით **5 მოწინავე სახელმწიფო გამოავლინა. მათ მიეკუთვნება 3 სკანდინავიური და 2 პოსტსაბჭოთა ქვეყანა** (დანია, ფინეთი, შვედეთი, ლატვია და ლიეტუვა).

კვლევის შედეგად, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ნაწილში შესწავლილი სახელმწიფოების გამოცდილებიდან **ყველა საკითხზე ერთგვაროვანი პრაქტიკა არ გამოიკვეთა.** ამის მიუხედავად, **შესაძლებელი გახდა კარგი მაგალითების იდენტიფიცირება, რომელთა გაზიარება არსებითად გააუმჯობესებდა საქართველოში პოლიტიკის დაგეგმვის ხარისხს.**

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს ყველა სამინისტროში უნდა შეიქმნას **სტრატეგიული მართვისა და კოორდინაციის ფუნქციის ერთიანი სტრუქტურული ერთეული;**

სამინისტროების მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების ანგარიშებზე **მთავრობის ადმინისტრაცია უნდა გასცემდეს დასკვნებს** და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ არაფორმალური კომუნიკაციით;

დამკვიდრდეს პოლიტიკის დოკუმენტების განხილვის პრაქტიკა მაღალი ჩართულობის პრინციპის გამოყენებით. კერძოდ, დარგის ექსპერტების, პარტიებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კი გაფორმდეს მემორანდუმი კონკრეტული სამოქმედო გეგმების/სტრატეგიების ფარგლებში;

შეიქმნას სპეციალური ონლაინ პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც გარეშე პირებს ექნებათ წვდომა განსახილველ პოლიტიკის დოკუმენტებზე, შეეძლებათ მოსაზრებების წარდგენა და მათზე გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოების უკუკავშირის მიღებაც;

სამინისტროებში **დაემატოს უმაღლესი ადმინისტრაციული მენეჯერის თანამდებობა**, რომელიც **კოორდინაციას გაუწევს არაპოლიტიკური, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებას;**

სამოქმედო გეგმებში გაჩნდეს მიზნის აღწერილობითი აბზაცი თავისი გავლენის ინდიკატორებით.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

დოკუმენტი მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია GYLA და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.